

სამაგისტრო მისაღები ტესტური გამოცდის კითხვები
სამაგისტრო პროგრამით: 'საზღვაოსნო მეცნიერებები'
კვალიფიკაცია: "ინჟინერიის მაგისტრი საზღვაოსნო მეცნიერებებში"

1. გემის შიგაწვის ძრავას დანიშნულებას წარმოადგენს? (სწორი პასუხი – გ)

- ა) გემის სანიჰავ ხრახნზე წვევის ძალის შექმნა;
- ბ) დგუმის უკუსვლით-გადატანითი მოძრაობის გარდაქმნა მუხლა ლილვის ბრუნვით მოძრაობაში;
- გ) საწვავის თბური ენერჯის გარდაქმნა მექანიკურ მუშაობაში;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

2. რას ეწოდება ცილინდრის სრული მოცულობა? (სწორი პასუხი – ბ)

- ა) ცილინდრის მუშა მოცულობის, წვის კამერის და შემშვები მილსადენების მოცულობების ჯამს;
- ბ) ცილინდრის მუშა მოცულობისა და წვის კამერის მოცულობის ჯამს;
- გ) ცილინდრის მუშა მოცულობისა და წვის კამერის მოცულობას შორის სხვაობას;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

3. ჩამოთვლილი დეტალებიდან რომელი შედის დგუმ-ბარბაცას ჯგუფში?
(სწორი პასუხი – ა)

- ა) დგუმი, სადეკომპრესიო და ზეთგამცლელი რგოლები, დგუმის თითი, ბარბაცა;
- ბ) დგუმი, დგუმის თითი, ბარბაცა, მუხლა ლილვი;
- გ) ცილინდრის მასრა, დგუმის რგოლები, დგუმის თითი, ბარბაცა;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

6. როგორი კუთხით არის განლაგებული ძრავებში ურთიერთ საწინააღმდეგოდ მოძრავი დგუმებით ცილინდრების ღერძი? (სწორი პასუხი – ბ)

- ა) 90°
- ბ) 180°
- გ) 270°
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

4. რა არის გამოყენებული მუხლა ლილვის ღერძული გადადგილების შეზღუდვისათვის? (სწორი პასუხი – ა)

- ა) მიმბრჯენი საკისარი;
- ბ) მიმბრჯენი სადები;

- გ) საფიქსირებელი ნახევარგოლები;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

5. რა სიდიდით ფასდება ძრავას მოკლესვლიანობა? (სწორი პასუხი – ა)

- ა) დგუშის სვლის შეფარდება დიამეტრთან ნაკლებია ან ტოლი ერთზე ($S/D \leq 1$)
- ბ) დგუშის სვლის შეფარდება დიამეტრთან შეადგენს $0,7 \dots 2,2$ ($S/D = 0,7 \dots 2,2$)
- გ) დგუშის სვლის შეფარდება დიამეტრთან ერთზე მეტია ($S/D > 1$)
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

6. როგორი მიმართულებით მოძრაობს გამაგრილებელი სითხე რადიატორის შიგა მილებში? (სწორი პასუხი – ბ)

- ა) ქვევიდან ზევით ;
- ბ) ზევიდან ქვევით;
- გ) ორივე მიმართულებით ;
- დ) წრიულად.

7. როგორ ხერხით იზეთება ძრავას მუხლა ლილვის ძირითადი და საბარბაცე ყელეები? (სწორი პასუხი – ბ)

- ა) გაშხეფვით;
- ბ) წნევით;
- გ) თვითჩაღვრით;
- დ) კომბინირებულად.

8. რომელი მიზეზი გამოიწვევს ძრავის შეზეთვის სისტემაში ზეთის წნევის შემცირებას? (სწორი პასუხი – გ)

- ა) მომატებული სიბლანტის ზეთების გამოყენება;
- ბ) სარედუქციო სარქველის ზამბარას დატვირთვის გაზრდა;
- გ) მუხლა ლილვის საკისრების გაზრდილი ცვეთა;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

9. ჩამოთვლილი ნარეგებიდან რომელია გადარიბებული? (სწორი პასუხი – ბ)

- ა) 13 კგ ჰაერი 1 კგ საწვავზე
- ბ) 16 კგ ჰაერი 1 კგ საწვავზე
- გ) 17 კგ ჰაერი 1 კგ საწვავზე
- დ) 19 კგ ჰაერი 1 კგ საწვავზე

10. გემის დგუშიანი შიგაწვის ძრავები მუშა პროცესის განხორციელების ხერხის მიხედვით შეიძლება იყოს: (სწორი პასუხი – გ)

- ა) ოთხტაქტიანიანები, რომლებშიც მუშა პროცესი სრულდება დგუშის ოთხი სვლის ანუ მუხლა ლილვის ორი შემობრუნების განმავლობაში;
- ბ) ორტაქტიანები, რომლებშიც მუშა პროცესი სრულდება დგუშის ორი სვლის ანუ მუხლა ლილვის ერთი შემობრუნების განმავლობაში;
- გ) ორივე პასუხი სწორია;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

11. ნარევეწარმოქმნის ხარისხის მიხედვით დგუშიანი შიგაწვის ძრავები შეიძლება იყოს: (სწორი პასუხი - გ)

- ა) გარე ნარევეწარმოქმნის მქონე ძრავები;
- ბ) შიგა ნარევეწარმოქმნის მქონე ძრავები;
- გ) გარე და შიგა ნარევეწარმოქმნის მქონე ძრავები;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

12. რომელი ელემენტი არ მიეკუთვნება ორთქლიანი ტურბინის მთავარ ელემენტებს: (სწორი პასუხი – ბ)

- ა) კორპუსი;
- ბ) ხრახნი;
- გ) საქშენი;
- დ) ნიჩბიანი როტორი.

13.. მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტის უზრუნველსაყოფად ტურბინა უნდა ბრუნავდეს: (სწორი პასუხი – გ)

- ა) დაბალი სიჩქარით;
- ბ) საშუალო სიჩქარით;
- გ) მაღალი სიჩქარით;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

14. სადაზღვევო ადგილი, ეს არის: (სწორი პასუხი – ბ)

- ა) გეოგრაფიული ადგილი სადაც დაზიანდა გემი;
- ბ) გეოგრაფიული ადგილი სადაცა დაიდო სადაზღვევო კონტრაქტი;

- გ) გეოგრაფიული ადგილი სადაც რეგისტრირებულია გემი;
- დ) გეოგრაფიული ადგილი სადაც გადაიყვანებენ დაზიანებულ გემს მისი შემდგომი დათვალიერებისათვის.

15. საერთაშორისო საზღვაო სამართალი არის: (სწორი პასუხი – ბ)

- ა) სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა;
- ბ) საერთაშორისო საჯარო სამართლის ნაწილი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოთა იურისდიქციის ფარგლებს საერთაშორისო ზღვებსა და ოკეანეებში;
- გ) საზღვაო სახელმწიფოებების მიერ დადგენილი წესები;
- დ) კონსტიტუციური ნორმების ერთობლიობა.

16. რა შემთხვევაში ივსება “Booking note”? (სწორი პასუხი – ა)

- ა). როცა გემს გადააქვს ძვირად ღირებული ტვირთი;
- ბ). როცა გემს გადააქვს ცეცხლ საშიში ტვირთი;
- გ). როცა გემს გადააქვს დიდგაბარიტიანი ტვირთი;
- დ). არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

17. თანამედროვე ორთქლიან ძრავებში თითქმის ყველა დამხმარე დანადგარს გააჩნია: (სწორი პასუხი – ა)

- ა) ელექტრული ამძრავი;
- ბ) გენერატორი;
- გ) ტურბინა;
- დ) გადამხურებლები.

18. რას ემსახურება გემის საჭის მოწყობილობა? (სწორი პასუხი – ბ)

- ა) გემის მოძრაობის შემცირებას;
- ბ) გემის მოძრაობის მიმართულების შეცვლას;
- გ) გემის სიჩქარის მომატებას;
- დ) გემის უსაფრთხო მოძრაობას;

19. რას ემსახურება გემის საღუზე მოწყობილობა (სწორი პასუხი – ბ)

- ა) გემის გაჩერებას;
- ბ) გემის ღუზაზე დაყენებას;
- გ) გემის მიმართულების შეცვლას;
- დ) გემის უსაფრთხო გადაადგილებას.

20. რისთვისაა განკუთვნილი საჭის ამძრავი (სწორი პასუხი _ა)

- ა) საჭის ჯიხურიდან ბრძანებათა გადასაცემად საჭის მექანიზმზე;
- ბ) საჭის გადაადგილებისათვის;
- გ) საჭის გაჩერებისათვის;
- დ) საჭის მექანიზმზე ზემოქმედებისათვის.

21. რას მოყავს საჭის მანქანა მოქმედებაში (სწორი პასუხი _ბ)

- ა) მექანიკურ ზემოქმედებას;
- ბ) ელექტრონულ ან ჰიდრავლიკურ ამძრავებს;
- გ) ხელის ამძრავ დანადგარს;
- დ) დიზელგენერატორს;

22. რით ხდება ღუზის ჩაშვება და ამოღება (სწორი პასუხი - ა)

- ა) ელექტრონული ბინაშპილით ან შპილით;
- ბ) სპეციალური მექანიზმებით;
- გ) მექანიკური ამწეებით;
- დ) სატვირთო ანძებით;

23. დანიშნულების მიხედვით რამდენ ჯგუფად იყოფა გემის სისტემები (სწორი პასუხი - ბ)

- ა) ორ ჯგუფად;
- ბ) სამ ჯგუფად;
- გ) ოთხ ჯგუფად;
- დ) ხუთ ჯგუფად;

24. რას ემსახურება რანჰოლუტი სატრანსპორტო გემებზე (სწორი პასუხი _ა)

- ა) სატვირთო ისრების დამაგრებას;
- ბ) ღუზის დამაგრებას;
- გ) გემის მოძრაობას;
- დ) არცერთი არ არის სწორი.

25. როგორი კლასიფიკაციით იყოფიან სატვირთო ანძები (სწორი პასუხი - ა)

- ა) მსუბუქ და მძიმე წონიანი;
- ბ) არ აქვს მნიშვნელობა;
- გ) სტანდარტული;
- დ) კომბინირებული.

26. ვისი მეთვალყურეობით წარმოებს მძიმეწონიანი ტვირთების ჩატვირთვა-გადმოტვირთვა (სწორი პასუხი - ბ)

- ა) ბოცმანის;
- ბ) კაპიტნის ან მისი უფროსი თანამემწის;
- გ) უფროსი მექანიკოსის;
- დ) პირველი კლასის მატროსის.

27. რამდენ გრადუსიანი დიფერენტის დროს უნდა იმუშაოს ავტომატიკამ ოპტიმალურად? (სწორი პასუხი _ ა)

- ა) 5°
- ბ) 10°
- გ) 15°
- დ) 20°

28. რა სახის ელემენტებისაგან შედგება გემზე ავტომატიკა? (სწორი პასუხი _ დ)

- ა) მექანიკური;
- ბ) პნევმატური;
- გ) ჰიდრაულიკური და ელექტრული;
- დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

29. დიზელის ძრავის თავდაპირველი მუშაობის პირობებში ცვეთაზე დიდ გავლენას ახდენს: (სწორი პასუხი _ გ)

- ა) მაღალი დატვირთვა;
- ბ) დაბალი დატვირთვა;
- გ) ტექნოლოგიური სისუფთავე (ხორკლიანობა);
- დ) არც ერთი .

30. რა შემთხვევაშია ყველაზე ეფექტური ქვაბის ქიმიური წმენდა? (სწორი პასუხი _ ა)

- ა) თუ ქვაბში აღმოჩენილია გამაგრებული მინადული;
- ბ) თუ ქვაბშია ნავთობ პროდუქტი;
- გ) არცერთ შემთხვევაში;

დ) ყველა შემთხვევაში.

31. რა შემთხვევაშია შესაძლებელი ქვაბის გაუჩერებლად წყლის დონის მაჩვენებელი მილის შეცვლა? (სწორი პასუხი – ა)

- ა) თუ საქვაბე აგრეგატი სრულად ავტომატიზირებულია;
- ბ) ნებისმიერ შემთხვევაში;
- გ) ექსტრემალურ სიტუაციაში;
- დ) თუ საქვაბე აგრეგატი არ არის სრულად ავტომატიზირებული.

32. გემის მეთაურთა შემადგენლობაში, კაპიტნის გარდა, შედის: (სწორი პასუხი - დ)

- ა) კაპიტნის თანაშემწე;
- ბ) გემის მექანიკოსები;
- გ) რადიოსპეციალისტები; ექიმი;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

33. წოდებების ჩამორთმევა ხდება: (სწორი პასუხი - ბ)

- ა) გემთფლობელის მიერ;
- ბ) სასამართლოს მიერ;
- გ) იმ სახელმწიფოს მიერ სადაც რეგისტრირებულია გემი;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

34. სალოცმანო ქვითარში აღნიშნული უნდა იყოს: (სწორი პასუხი - დ)

- ა) გემის დასახელება;
- ბ) გემის სახელმწიფო დროშა;
- გ) გემთფლობელის დასახელება და მისამართი;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

35. კონოსამენტში აღნიშნული უნდა იყოს: (სწორი პასუხი - დ)

- ა) ტვირთის გარეგნული სახე;
- ბ) ტვირთის გამგზავნის დასახელება;
- გ) კონოსამენტის გაცემის ადგილი და თარიღი;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

36. რა არის სტალიური დრო? – (სწორი პასუხი - ა)

- ა) ზუსტად განსაზღვრული სუფთა დრო, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს გემის დატვირთვა ან გადმოტვირთვა.
- ბ) ტვირთის გადაზიდვის დრო;
- გ) შვებულებაში გასვლის დრო;
- დ) საბუთების გაფორმების დრო.

37. საზღვაო ტვირთზიდვასთან დაკავშირებით საქართველოში მოქმედი საერთაშორისო კონვენციებია: (სწორი პასუხი - დ)

- ა) ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების ხელშეკრულება;
- ბ) კონოსამენტის ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ 1924 წლის საერთაშორისო კონვენცია “ჰააგა-ვიზბის წესები”;
- გ) ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ გაეროს 1978 წლის კონვენცია “ჰამბურგის წესები”;
- დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

38. რა ორგანიზაციაა IMO? (სწორი პასუხი - ბ)

- ა) გარემოს დაცვის კომიტეტი ზღვაზე;
- ბ) საზღვაო ტრანსპორტის დარგში საერთაშორისო კანონმდებლობის სათავო ორგანიზაცია;
- გ) ტექნიკური თანამშრომლობის კომიტეტი ზღვაზე;
- დ) ნაოსნობის საერთაშორისო პალატა.

39. რა არის საორდერო კონოსამენტი? (სწორი პასუხი - გ)

- ა) დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია გადასაზიდი ტვირთის ყველა რეკვიზიტი;
- ბ) დოკუმენტი რომელშიც მოცემულია ტვირთის გადაზიდვის მანძილი;
- გ) კონოსამენტი, რომელშიც მითითებული არ არის ტვირთის კონკრეტული მიმღები და აღნიშნულია მხოლოდ ის პირი, რომლის ბრძანებითაც შეიძლება გაიცეს ტვირთი;
- დ) კონოსამენტი, რომელშიც მოცემულია ტვირთების ჩამონათვალი.

40. რას ეწოდება ტერიტორიული წყლები? (სწორი პასუხი - გ)

- ა) სახელმწიფოს შიგა წყლებს;
- ბ) ზღვის ტერიტორიას, სადაც შეუძლია სამხედრო გემებს გავლა;
- გ) ქვეყნის სანაპიროს საწყისი ხაზებიდან ღია ზღვისკენ გადაზომილ 12 საზღვაო მილის სიგანის ზღვის სივრცეს;
- დ) სახელმწიფოს საგანგებო ეკონომიკური ზონა.

41. რა ღონისძიებათა კომპლექსს ითვალისწინებს კონვენცია “MARPOL 73/78”?
(სწორი პასუხი - ბ)

- ა) სიცოცხლის გადარჩენისთვის ზღვაზე;
- ბ) გემებიდან ზღვის დაბინძურების აღსაკვეთად;
- გ) მეზღვაურთა სერტიფიცირბას;
- დ) ზღვის ფსკერის გამოკვლევას.

42. რა მაქსიმალურ მანძილზე ვრცელდება ქვეყნის კუთვნილი კონტინენტური შელფი?
(სწორი პასუხი - დ)

- ა) არა უმეტეს 12 საზღვაო მილი;
- ბ) არა უმეტეს 24 საზღვაო მილი;
- გ) არა უმეტეს 120 საზღვაო მილი;
- დ) არა უმეტეს 200 საზღვაო მილი.

43. რომელი სპეციალური გემით წარმოებს ნავთობის ტრანსპორტირება?
(სწორი პასუხი - გ)

- ა) ბალკერებით;
- ბ) როლკერებით;
- გ) ტანკერებით;
- დ) რეფრიჟერატორით.

44. რომელი სპეციალური გემით წარმოებს მშრალი ფხვიერი ტვირთის გადაზიდვა?
(სწორი პასუხი - ა)

- ა) ბალკერებით;
- ბ) როლკერებით;
- გ) ტანკერებით;
- დ) რეფრიჟერატორით

45. რომელი სპეციალური გემებით წარმოებს სავალთვლიანი ტექნიკის (მობილური თვლიანი მანქანების) გადაზიდვა? (სწორი პასუხი - ბ)

- ა) ბალკერებით;
- ბ) როლკერებით;
- გ) ტანკერებით;
- დ) ლიხტერმზიდით.

46. საზღვაო პორტის ძირითად ტექნიკურ მახასიათებლებს მიეკუთვნება:
(სწორი პასუხი - დ)

- ა) საზღვაო პორტის ნიშნულები და აკვატორიის ზომები;
- ბ) საზღვაო პორტის სიღრმეები და ნაპირთან მისადგომი ხაზის სიგრძე;
- გ) პორტის აკვატორიის და ტერიტორიის ზომები;
- დ) საზღვაო პორტის სიღრმეები, ტერიტორიული ნიშნულები, აკვატორიის ზომები, ნაპირთან მისადგომი ხაზის სიგრძე, ტერიტორიის ზომები.

47. კონტეინერის ავტომატურ წამტაცს ეწოდება: (სწორი პასუხი - ბ)

- ა) სტენდერი;
- ბ) სპრედერი;
- ც) ჯამბარა;
- დ) კავური საკიდი.

48. ნავთობის ტერმინალებში ნავთობის შენახვა წარმოებს: (სწორი პასუხი - გ)

- ა) ბუნკერებში;
- ბ) მილებში;
- გ) ლითონის რეზერვუარებში;
- დ) ლითონი კასრებში.

49. ტრანსპორტიორს, რომელსაც ტვირთები უწყვეტი რეჟიმით გადააქვს ვერტიკალურად, ეწოდება: (სწორი პასუხი - ბ)



- ა) ტრავოლატორი;
- ბ) ელევატორი;
- ც) რიჩსტაკერი;
- დ) სტატორი.

50. გემების აგებისა და რემონტის ადგილია: (სწორი პასუხი - ა)

- ა) დოკი;
- ბ) ელინგი;
- გ) სლიპი;
- დ) სარკინიგზო ტერმინალი.


51. ამ მანიპულირებელი ნიშნებიდან რომელი აღნიშნავს ტვირთის ჰერმეტიკულად

შეფუთვას? (გ)



დ). არც ერთი

52. ამ მანიპულირებელი ნიშნებიდან რომელი აღნიშნავს ტვირის გახსნის მითითებულ ადგილს? (2)



4. არც ერთი



53. ამ მანიპულირებელი ნიშნებიდან რომელი მიუთითებს გადასაზიდი ტვირთის რადიოაქტიურობაზე? (2)

1.

2. არც ერთი?

3.

4. ორივე



54. რა ღონისძიებათა კომპლექსს ითვალისწინებს კონვენცია “SOLAS -74”?
(სწორი პასუხი - ა)

- ა) ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისთვის ზღვაზე;
- ბ) გემებიდან ზღვის დაბინძურების აღსაკვეთად;
- გ) მეზღვაურთა სერტიფიცირებას;
- დ) ზღვის ფსკერის გამოკვლევას.

55. როდის გახდა საქართველო IMO-ს წევრი? (სწორი პასუხი - გ)

- ა) 1982 წ;
- ბ) 1985 წ;
- გ) 1993 წ;
- დ) 2005 წ.

56. **INTERTANKO-ს მიზანია:** (სწორი პასუხი - ბ)

- ა) სატანკერო გემთმფლობელების ურთიერთდაპირისპირება;
- ბ) სატანკერო გემთმფლობელების კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- გ) სატანკერო გემთმფლობელების შრომითი ნორმების დარეგულირება;
- დ) ტანკერების მფრახტავების გაერთიანება.

57. **პორტებში მომუშავე უნივერსალურ ამწე მანქანებს მიეკუთვნება:**
(სწორი პასუხი - დ)

- ა) პორტალური ამწეები;
- ბ) პორტალური გადამტვირთველები;
- გ) ხარიხა ამწეები;
- დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

58. **პორტალური ამწის მუშა ორგანო შეიძლება იყოს:** (სწორი პასუხი - ა)

- ა) კავური საკიდი; გრეიფერი; ელექტრომაგნიტი;
- ბ) სტენდერი;
- გ) პნევმატური ჩაქუჩი;
- დ) ანკესი; ბადე.

59. **პორტში ტანკერის დატვირთვა-განტვირთვისთვის აუცილებელი ხელსაწყოა:**
(სწორი პასუხი - გ)

- ა) კავური საკიდი;
- ბ) ელექტრომაგნიტი;
- გ) სტენდერი;
- დ) ვაკუუმური წამტაცი.

60. **გემმისადგომთნ გემის უსაფრთხო დგომისთვის აუცილებელია მისი დამაგრება**
(სწორი პასუხი - გ)

- ა) მინიმუმ 2 წერილით;
- ბ) მინიმუმ 4 წერტილით;
- გ) მინიმუმ 6 წერტილით;
- დ) საერთოდ არ ჭირდება დამაგრება.

61. **პორტის მუშაობის ძირითადი სატრანსპორტო-ეკონომიკური მახასიათებელია:**
(სწორი პასუხი - გ)

- ა) გამტარუნარიანობა;
- ბ) ტვირთბრუნვა;
- გ) გამტარუნარიანობა და ტვირთბრუნვა;
- დ) გემთბრუნვა.

62. გადაზიდვების ეფექტიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორებია:
(სწორი პასუხი - დ)

- ა) დრო,
- ბ) ტარიფი;
- გ) მომსახურების დონე;
- დ) დრო, ტარიფი, მომსახურების დონე.

63. დისკაჩი არის : (სწორი პასუხი -ა)

- ა) პრემია, რომელსაც გემთმფლობელი უხდის ტვირთის პატრონს გემის ვადაზე ადრე დატვირთვისათვის ან გადმოტვირთვისათვის.
- ბ) ავარიის შემთხვევაში იმ ზარალის გაანგარიშება, რომელიც მიადგა ტვირთსა და გემს.
- გ) მეზღვაურის სახელფასო გასამრჯელო;
- დ) ჯარიმა ზღვის დაბინძურებისთვის.

64. ჩარტერი არის: (სწორი პასუხი - გ)

- ა) გემის დაქირავების ფასი;
- ბ) გემის დაზღვევის ხელშეკრულება;
- გ) გემთმფლობელსა და გემის დაქირავებელს შორის დადებული ხელშეკრულება გემის დაფრახტვის შესახებ.
- დ) სანაპირო ნაოსნობა ერთი სახელმწიფოს ნავსადგურებს შორის.

65. ტვირთის გამგზავნს უფლება აქვს მოითხოვოს: (სწორი პასუხი - დ)

- ა) ნავსადგურიდან გემის გასვლამდე ტვირთის უკან დაბრუნება;
- ბ) ტვირთის გაცემა შუალედურ ნავსადგურში;
- გ) ტვირთის გაცემა იმ პირზე, რომელიც არ არის მითითებული კონოსამენტში, იმ პირობით, რომ იგი წარმოადგენს ტვირთის გამგზავნისათვის გაცემული კონოსამენტების ყველა ეგზემპლარს;
- დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

66. FIATA-არის (სწორი პასუხი - ბ)

- ა). კონოსამენტში შემავალი ქვეპუნქტი;
- ბ). დოკუმენტი, რომლითაც ხორციელდება ტვირთის ერთიანი გადაზიდვა;
- გ). საზღვაო კოდექსის დასახელება;

დ). არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

67. გემზე დატვირთვამდე ვინ ამოწმებს ტვირთის მდგომარეობას? (გ)

ა). ტალმანი?

ბ). კაპიტანი?

გ). კაპიტნის მთავარი ასისტენტი?

დ). არც ერთი პასუხი არ არის სწორი

68. უნიმოდალური გაზიდვა არის? (ა)

ა). გადაზიდვა ერთი სახის ტრანსპორტით?

ბ). გადაზიდვა ორი ან მეტი სახის ტრანსპორტით?

გ). ქვეყნის შიდა გადაზიდვა?

დ). არც ერთი პასუხი არ არის სწორი

69. საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ჩაძირული ქონება, რომელიც შემთხვევით იყო ამოღებული უნდა გადაეცეს? (გ)

1. მპოვნელს;

2. გადამზიდავ კომპანიას;

3. საქართველოს უახლოეს საზღვაო ნავსადგურს;

4. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

70. ლოცმანი არის (ა)

ა) სერტიფიცირებული ფიზიკური პირი, რომელიც უზრუნველყოფს საზღვაო ნავსადგურების მისასვლელებთან გემის გაცილებას;

ბ) პირი, რომელიც აფორმებს გემის დაზღვევას;

გ) პირი, რომელიც კონტრაქტს აფორმებს მეზღვაურებთან;

დ) პირი, რომელიც აკონტროლებს პორტის ტვირთბრუნვას.

ლიტერატურა:

1. ირაკლი ჩხეტა – გემის ენერგეტიკული დანადგარები– გამომცემლობა

ტექნიკური უნივერსიტეტი 2012 წ. 81 გვ;

2. ირაკლი ჩხეტია, გიორგი არჩვაძე, ვალერი ჯაჯანიძე – საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა, გამომცემლობა ტექნიკური უნივერსიტეტი, 2013 წ, 90

გვ;

3. ო. გელაშვილი, მ. ბარბაქაძე – საზღვაო პორტები და მათი ტექნიკური

აღჭურვილობა, გამომცემლობა ტექნიკური უნივერსიტეტი, 2015 წ, 360 გვ;

4. მ. ბარბაქაძე, გიორგი არჩვაძე, ვასილ ქართველიშვილი– დატვირთვა–
განტვირთვის მექანიზაცია საზღვაო ტრანსპორტზე– გამომცემლობა ტექნიკური
უნივერსიტეტი 2015 წ. 252 გვ.